ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №720986

ნომერი: AR1135422

თარიღი : 31.05.2013

გაცემის თარიღი : 04.06.2013

გაცნობის თარიღი : 04.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ; ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ; ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ხიზანიშვილი პ/ნ 33001020667
- ოზურგეთი შ.რუსთაველის I შეს. N 2

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 30 მაისს AR1135422 განცხადებით ერთობლივად მომართეს შპს „იალონი“–ს მინდობილმა პირმა ირაკლი ხიზანიშვილმა და მოქ. ბექარი კინწურაშვილმა და მოითხოვეს სამსახურის 31.08.2012წ. #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანა, საპროექტო მიწის ნაკვეთის დაყოფასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #6–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საყოფაცხოვრებო–საზოგადოებრივი ფუნქციის ავტოსერვისის ასაშენებლად გაიცა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა 54472 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერებითა და საკადასტრო გეგმებით ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი დღეის მდგომარეობით დაიყო სამ ნაწილად – საკადასტრო კოდი #01.72.14.032.600, ფართობით: 24110 კვ.მ.; საკადასტრო კოდი #01.72.14.032.598, ფართობით: 13893 კვ.მ. და საკადასტრო კოდი: #01.72.14.032.599 , ფართობით: 16469 კვ.მ.(ამონაწერებისა და საკადასტრო გეგმების რეგისტრაციის №882013120255, მომზადების თარიღი: 22.03.2013წ;). დაყოფის შედეგად წარმოქმნილ საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება იგივე ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრები.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საკადასტრო ერთეულების დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატოს სამი ახალი საკადასტრო ერთეული – საკადასტრო კოდი #01.72.14.032.600, ფართობით: 24110 კვ.მ.; საკადასტრო კოდი #01.72.14.032.598 , ფართობით: 13893 კვ.მ. და საკადასტრო კოდი: #01.72.14.032.599, ფართობით: 16469 კვ.მ. (ამონაწერებისა და საკადასტრო გეგმების რეგისტრაციის №882013120255, მომზადების თარიღი: 22.03.2013წ;)
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.